

ოქმი # 2

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 30 იანვრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), მ. აშორდია, გ. ბერიკელაშვილი, თ. დათუაშვილი, რ. დუდუჩავა, ა. ელაშვილი, მ. ელიაშვილი, ა. კვინიხიძე, ი. კილურაძე, ვ. კოკილაშვილი, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 16 წევრი).

დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის თვითშეფასების კითხვარების განხილვა-შეფასება;
2. მათემატიკური ანალიზის განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის საკონკურსო კომისიის შექმნა.
3. საინსტიტუტო კონფერენციის თარიღის შეთანხმება.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის თვითშეფასების კითხვარების განხილვა-შეფასებასთან დაკავშირებით.

საბჭომ განიხილა ინსტიტუტის 53 მეცნიერის თვითშეფასების კითხვარები.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : დადებითად შეფასდეს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის თვითშეფასების კითხვარები და წარედგინოს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2019 წლის 23 იანვარს თსუ რექტორის # 18/01-01 ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი თსუ ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თსუ რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ვ. კოკილაშვილის გამოსვლა, რომელმაც აღნიშნული კომისიის წევრობის კანდიდატებად დაასახელა პროფ. დავით ნატროშვილი, პროფ. ვაჟა ტარიელაძე და პროფ. დუგლას უგულავა.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

1) წარედგინოს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით ნატროშვილი - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

2. ვაჟა ტარიელაძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორი, სტუ ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე;

3. დუგლას უგულავა - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორი, სტუ ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

